ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8034568

ნომერი: AR11155472

თარიღი : 04.08.2026

გაცემის თარიღი : 05.08.2026

გაცნობის თარიღი : 11.08.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მაყვალა მრევლიშვილის ქუჩა, N 37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მელიქიშვილი პ/ნ 01005023300
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 14 ბ. 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 04 აგვისტოს №AR11155472 განცხადებით მომართა გიორგი მელიქიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 26 მარტის №7859700 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 26 მარტის №7859700 ბრძანებით შეთანხმდა № 01.11.03.010.231 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის არქიტექტურული პროექტი, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე 2026 წლის 30 აპრილის N7902492 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2026 წლის 30 აპრილიდან 2028 წლის 30 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 26 მარტის №7859700 ბრძანებით შეთანხმებულ კონსტრუქციულ პროექტს აქვს ხარვეზი. კერძოდ, კონსტრუქციული პროექტი არ შეესაბამება არქიტექტურულ პროექტს. შესაბამისად, ითხოვს წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტის ჩანაცვლებას.
განგიმარტავთ, რომ კონსტურქციული პროექტის ჩანაცვლება არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას. სამსახურის 2026 წლის 26 მარტის №7859700 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ცვლილება საჭიროებს სამსახურის 2026 წლის 26 მარტის №7859700 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას) და შესაბამისი (მათ შორის შესათანხმებელი არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასების) საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2026 წლის 26 მარტის №7859700 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.